საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №20/ნ
2017 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №225/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №225/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 30.12.2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016262) მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დებულებაში და დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

,,ვ^{1}) სააგენტოს თანამშრომელთა მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს; უზრუნველყოფს დამატებითი საზღაურის (დანამატის) გაცემას დირექტორსა და სააგენტოს თანამშრომლებზე, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, აგრეთვე, მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის, რომელიც აღემატება ჩვეულ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაგრამ მიმართულია სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად. დანამატის ოდენობა განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა**